

მე პირადად ვსწავლობ ამ საკითხს

gurianews.com/_left_wide/38325_67_ka/mestiis_gamgebeli_me_piradad_vswavlob_am_sakiTxs.html

მესტიის რაიონ წვირმის თემში, კონკრეტულად სოფელ იელში მცხოვრებლები, ჩინური კომპანიის წინააღმდეგი არიან, რომელმაც ოქროს მოპოვებითი სამუშაოების წარმოება დაიწყო მდინარე ენგურზე.

"გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეა. ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებით არის საუბარი და მოსახლეობა აპროტესტებს ჩინური კომპანიის მიერ დაწყებულ სამუშაოებს.

*მე პირადად ვსწავლობ ამ საკითხს და სამართლებრივად მივყვები ყველაფერს. როდესაც შევისწავლი დეტალურად საქმეს, შემდეგ გავაკეთებ ამომწურავ განცხადებას" - გვითხრა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კაპიტონ ჟორჯოლიანმა**.*



მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის "ფეისბუქის" გვერდზე "გურია ნიუსმა" შემდეგი სახის ინფორმაცია მოიპოვა.

"წარმოგიდგინთ, 2006 წლის 25 მაისს გაცემულ ნიალით სარგებლობის ლიცენზიას N0724, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტის, წვირმის ტერიტორიული ერთეულის სოფელ იელში, მდინარე ენგურის შუაწელის აუზში კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვებას." - წერია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში.

მოძრაობა "მწვანე მუშტის" ინფორმაციით, უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც მესტიის რაიონ წვირმის თემში, კონკრეტულად სოფელ იელში, ჩინურმა კომპანიამ დაიწყო ოქროს მოპოვებითი სამუშაოების წარმოება მდინარე ენგურზე.

სოფელში ტექნიკა შეიყვანეს ღამით, უშიშროების თანამშრომელთა თანხლებით, სამუშაოები მიმდინარეობს განუწყვეტლივ 24 საათიან რეჟიმში, გადათხრილია მთლიანად სოფლის მიმდებარე ტერიტორია, მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით: რადგან არ მოხდა მათი ინფორმირება. კომპანიამ არ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მათ ჰქონდათ ნებართვა სამუშაოების ჩასატარებლად სოფელ იელში.

"აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ჩვენ დავუკავშირდით გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურს დამოვითხოვეთ ადგილზე გადაემოწმებინათ, ჰქონდა თუ არა რეალურად კომპანიას ლიცენზია ოქროს მოპოვებითი სამუშაოების საწარმოებლად, შესაბამისად მივიღეთ დაპირება სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილებიდან მათი წარმომადგენლების გაგზავნისა, თუმცა დღეს გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე გარემოს დაცვის სამინისტოდან ადგილზე არ მომხდარა საკითხის შესწავლა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივამ" რეესტრში ინფორმაციის გადამოწმების შედეგად მოგვანოდა ცნობა რომ არსებობს 15 წლიანი ლიცენზია კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვებაზე, (მესტიის რ-ნი) რომელიც გაცემულია 2005 წელს. ლიცენზიის მფლობელია საზოგადოება ოპტიკალისისტემს, ინკ, აშშ. კომპანიის დირექტორი და მფლობელი – ლინა მა, ჩინეთი, განმცხადებელია ვლადიმერ ფანგანი" _ აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

